ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა
საკონსკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №9

დაბა ქედა 18 ივლისი 2019 წელი

სხდომის დასაწყისი 10:00 სთ-ზე;
სხდომის დასასრული 11:15 სთ-ზე.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე

სხდომას ესწრებოდნენ :

საკონკურსო კომისიის წევრები: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი (HR) - ზაზა დავითაძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარე - სოფიო ხაბაზი

ა(ა)იპ „ქედის ზრდასრულთა განათლების ცენტრი"-ს
დირექტორი - დავით ანანიძე

დღის წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის დადასტურებული საფუძვლის მიხედვით მოსალოდნელ ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ივნისის №57 ბრძანებით საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად ღია კონკურსის შეფასების ეტაპის - ზეპირი დავალებისა და გასაუბრების ქულების განხილვა, საბოლოო შედეგების შეჯამება, გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა და დანიშვნის მქონე პირისათვის (მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის) დასანიშნად წარდგენა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

სხდომაზე თავდაპირველად განხილულ იქნა კონკურსანტების მიერ გასაუბრებაზე დაგროვებულ ქულათა შედეგები, ასევე კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა საკითხი, რომელიც შეეხებოდა კონკურსის შეფასების ეტაპზე (გასაუბრება) საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტებისათვის შეთავაზებულ კონკურსის გასაუბრების პროცესში მათზე დასმული შეკითხვებისა და პასუხების მიმდინარეობის ვიდეო ჩაწერას, რომელზედაც კონკურსანტებმა უარი განაცხადეს.

გასაუბრება ჩატარდა ინდივიდუალური (ზეპირი) გასაუბრების საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ სამართლებრივი აქტებიდან და შეფასება მოხდა საკონსკურსო კომისიის 2019 წლის 18 ივნისის №5 სხდომის ოქმში განსაზღვრული შეფასების სისტემისა და კონკურსანტის შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით.

კონკურსანტმა პ/ნ 61008016460 საშუალო არითმეტიკული ქულის გამოანგარიშებით მიიღო შეფასების ეტაპის (გასაუბრება) შესაძლო max 30 ქულიდან 26,2 ქულა, გადალახა მინიმალური ბარიერი და განხილულ იქნა კონკურსის საბოლოო შედეგების შეჯამების ეტაპზე, რომელიც განხორციელდა ზეპირი დავალებისა (28 ქულა) და გასაუბრებაზე (26,2 ქულა) მიღებულ ქულათა დაჯამებით, ხოლო კონკურსანტმა პ/ნ 61004026155 საშუალო არითმეტიკული ქულის გამოანგარიშებით მიიღო შეფასების ეტაპის (გასაუბრება) შესაძლო max 30 ქულიდან 25,8 ქულა, გადალახა მინიმალური ბარიერი და განხილულ იქნა კონკურსის საბოლოო შედეგების შეჯამების ეტაპზე, რომელიც შესაბამისად განხორციელდა ზეპირი დავალებისა (28 ქულა) და გასაუბრებაზე (25,8 ქულა) მიღებულ ქულათა დაჯამებით.

საბოლოო შედეგის გათვალისწინებით, საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში პოზიციაზე კონკურსანტი პ/ნ 61008016460, რომელმაც საბოლოო შეფასებით მიიღო 54,2 ქულა, გამოცხადდა გამარჯვებულად (ოქმს თან ერთვის კონკურსანტების შეფასების ფორმები).

აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ გადაწყვიტა:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის დადასტურებული საფუძვლის მიხედვით მოსალოდნელ ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ივნისის №57 ბრძანებით საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად ღია კონკურსის შედეგების მიხედვით კონკურსანტი პ/ნ 61008016460 გამოცხადდეს გამარჯვებულად.

2. საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში ვაკანტურ პოზიციაზე კომისიის მიერ დასანიშნად წამოყენებულ იქნას და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დასანიშნად წარედგინოს კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი პ/ნ 61008016460.

3. ეთხოვოს კომისიის თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა.

4. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ შიდა ვებგვერდზე (www.keda.ge).

5. იმ კანდიდატს, რომელიც გამოვლინდა გამარჯვებულად, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:	მუხრან სალაძე
კომისიის თავმჯდომარეს მოადგილე:	სულიკო ჩხიკვაძე
კომისიის წევრები:	ზაზა დავითაძე
	სოფიო ხაბაზი
	დავით ანანიძე